ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3632900

ნომერი: AR1536056

თარიღი : 29.08.2017

გაცემის თარიღი : 24.10.2017

გაცნობის თარიღი : 27.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ინგოროყვა პ/ნ 01008001527
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 50

ორგანიზაცია:
- შპს "მ.კ" კოდი: 211344641

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ზანგალაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "არქიტექტურული ორკესტრი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404981953

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "მ.კ."
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211344641
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ინგოროყვა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008001527

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 810.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 404.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1373.39
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 125.47
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 227.2
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 34.43
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 339.68
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5544.63
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4584.48
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 960.15
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 18.46
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 14.96
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 398.5კ1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1028.3 კ2=1.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 295.98 კ3=0.4
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 646.61

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: N362ბ
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 6.07.1998

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N236
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.07.1998

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 29 აგვისტოს AR1536056 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.
გაცნობებთ, რომ 1997 წლის 15 ოქტომბერს გაიცა სამშენებლო პასპორტი №659, რომლის ფუნქციად განისაზღვრა მცირე ზომის სასტუმრო. სამსახურმა 1998 წლის 06 ივლისის №362 ბრძანებით შეითანხმა მცირე ზომის სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. 1998 წლის 06 ივლისის №362 ბრძანების საფუძველზე, მოხდა რამოდენიმე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. 2017 წლის 29 აგვისტოს AR1536056 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია სასტუმროს განთავსება, საერთო ფართობის

მკვეთრი მატებით. რაც წინააღმდეგობაში მოდის 1997 წლის 15 ოქტომბერს გაცემული სამშენებლო №659 პასპორტით დადგენილ ფუნქციასთან. კერძოდ იზრდება საპროექტო ობიექტის შეუსაბამობა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან იზრდება საპროექტო ობიექტის შეუსაბამობის ხარისხი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გრიშაშვილის ქუჩაზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარედ სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.